№ 164

ხუთშაბათი, 3 აგვისტო 1895

1877—1895

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 164

ხუთშაბათი, 3 აგვისტო

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

(წელი მეოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორიც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მაწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათვთიაქის ზირდაზირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ვ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1596—9).

## კაბინეტი კბილის ექიმთა

**ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3და საღამოს 4—7 საათამდე.

„წერა-კითხვის გამავრცელებელის აზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს დაიჭიროს ადგილი მეორე მასწავლებლისა ბათუმის ქართულს სკოლაში, უნდა თხოვნით მოჰმართოს გამგეობას 25 აგვისტომდე ამ წლისა. მეორე მასწავლებელს ეძლევა: ჯამაგირი თვეში ოთხი თუმანი, სადგომი და მოსამსახურე. (7—6)

## ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვემართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

**გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა** ამით აცხადებს, რომ 9 აგვისტოს 1895 წ., დღის 12 საათზე ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ მოხდება საჯარო ვაჭრობით გასყიდვა ალექსანდრე და ვლადიმირ სტეფანეს ძე კლიუჩაროვების უძრავის ქონებისა, რომელიც ბანკს დარჩა, რადგანაც ვაჭრობით ვერ იქმნა გასყიდული და იმყოფება ქ. ბათუმს, „ნურიას“ ნაწილში, სმეკალოვსკისა და კამაროვსკის ქუჩებზედ; უძრავი ქონება შესდგება სამის ორ-სართულიან სახლისგან, რომელთაგანსაც ერთს სარდაფიცა აქვს და ერთ სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით სამასი ოთხკუთხი საჟ., შემდეგს საზღვრებში: აღმოსავლეთით სუკაიანის ნაწილი, ჩრდილოეთით—კომაროვსკის ქუჩა, დასავლეთით—სმეკალოვსკის ქუჩა და სამხრეთით მაჰავარიანის მამული. მამულზედ ირიცხება სათანხო ვალი 18,500 მან. 66 კ. და ნედოიმკები 1078 მან 30 კაპ. ვაჭრობა 19,578 მან. 96 კ.—იდამ დაიწყება. ბანკის სათანხო ვალი ამავე ბანკის გირავნობის ფურცლებით შეიძლება გაუქმდეს მანეთზედ მანეთი მათის ნამდვილის ღირებულებისა და აგრეთვე, ბანკის თანხმობით, შეიძლება ვალი მსყიდველზედ იქმნას გადატანილი; ხოლო სავადო შესატანი გარდასახადი და სხვა ნედოიმკები ნაღდ-ფულად უნდა იქმნას ბანკში წარდგენილი.

(3—6—1).

## ახალი ამბავი

—

*** მეჯუდის ხეობიდგან იწერებიან, რომ იქაური მცხოვრებნი, ქართველნი და ოსნი მეტად შეწუხებულნი არიან უგზობის გამო. მას შემდეგ, რაც ს. ივრეთის მთა ჩამოწვა, შეკრა გზა და თითქმის მთელის ვერსის მანძილზედ შეაგუბა მთის მდინარე მეჯუდა. გზა, თუ ცალფეხა ბილიკი გზად ჩაითვლება, მეტი არსაითა აქვთ მთელის ხეობის მცხოვრებთ რამდენიმე ათასს კომლს და არიან ასე მომწყვდეულნი და სრულიად მოწყვედილნი ქართლს, სადაც ჩამოაქვთ გასასყიდად შეშა, ერბო, მატყლი, ქათამი და სხ., რომელიც ადგილის სიმწირის გამო თითქმის ერთად ერთს ცხოვრების სალსარს შეადგენს მათთვის. კარგი იქნება ადგილობრივმა ადმინისტრაციამ რაც შეიძლება დააჩქაროს და გზა როგორმე გააკეთებინოს, თორემ მალე ზამთარი დადგება და თუ ეხლა ოსს თუ ქართველს—მთის შვილს—ტყეშიაც შეუძლიან უგზოდ სიარული, მაშინ სრულიად ველარ შესძლებს ქართლში ჩამოსვლას, საიდგანაც წლითი წლობამდის პურსა და ქერს ეზიდებიან, რადგანაც ადგილობრივ არ მოსდით საკმაო ჭირნახული.

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობოზ“. იუწყება, ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციის შუამდგომლობა შესახებ ექვსი ათასი მანეთის სესხისა რაჭის მაზრაში რიონზედ ორი ხიდის ბუგეულისა და სკოდორის გასაკეთებლად, შეწყნარებულ იქმნა.

*** გუშინ, 2 აგვისტოს, საღამოს 6 საათსა და 50 წამზედ სახალხო მატარებელით სამხედრო მინისტრის შესაგებებლად თ გრაფი ტატიშჩევი, შტაბის უფროსი, ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი და ინჟენერი შაიკევიჩი წავიდნენ ტფილისიდგან. ბათუმიდგან დანიშნულია მინისტრისათვის საგანგებო მატარებელი ბორჯომამდის. მატარებელი ბათუმიდგან დილის რვა საათზედ გამოვა. მინისტრი ბორჯომიდგან აბასთუმანს წავა.

*** გუშინ, 2 აგვისტოს, მუხრანსკის ქუჩაზედ შეიპყრეს ჯიბგირი, რომელმაც ბანაობის დროს 5 მანეთი ამოაცალა ჯიბიდგან ერთს სომეხს მუშას. ჯიბგირმა გაქცევის დროს თავი შეაფარა ერთს ფიცრულს, სადაც ბორანზედ გასასვლელ ბილეთებსა ჰყიდიან. ბილეთების გამყიდველმა უჩვენა მდევარს მუშებს დამალული და მალე გამოათრიეს ფიცრულიდგან ევროპიულად ჩაცმული ჯიბგირი და პოლიციელს გადასცეს.

*** სოფ. ბოდბისხევი, (სიღნაღის მაზრა): დადგება თუ არა ზაფხული, დაერევა ჩვენს სოფელს ციებ-ცხელება. ისეთი მეკომური არ არის, რომ სახლში ციებ-ცხელებით ავადმყოფი არ უწვეს. უმთავრესი მიზეზი ამისა არის ის, რომ კალოზედ, საცა ზაფხულობით მთელი სოფელია გაკრებილი, რიგიანი სასმელი წყალი არ არის. სიცხეში მუშაობისაგან გულ ჩახ-არშული მუშაკი ეწაფება აშმორებულს და უწმინდურებით სავსე ბულაყის წყალს. ეს სოფელი თითქმის ათასი კომლია და ნუ თუ გაუჭირდათ ერთი რიგიანი წყლის გაკეთება, მერე იმისთანა ადგილას, საცა ბელტო რომ ამოაგდო, თვით ამოდის წყალი? დიაღ, რომ არ გაუჭირდება რიგიანი წყლის გაკეთება ამოდენა ხალხს, მაგრამ ის, ვისაც კი შეუძლიან და ვისიც ვალია სოფლის ყურის-გდება, არასა ზრუნავს ამაზედ. თუმცა ეს მზრუნველი ერთი იმათგანია, რომელსაც ,,შეგნებულს ინტელიგენტს‘‘ უწოდებენ.

*** ს. მანავი, (ტფილისის მაზრა): წელს თითქმის სულ ცალიერი დარჩება ღვინის ჭურები. მტევანს მარცვალი სცვივა და ცალიერი კლერტები-ღა ჰკიდია ზედ. ნაცარმა ისე დასწვა ისვრიმი, რომ ყურძენი წვენს ველარ იკეთებს და მთლად გამოფიტულია. ხილეულობის არქონის იმედი ხომ გაზაფხულის დამდეგშივე გადავიწყვიტეთ. ხეხილი სიცივეებმა დააზრო.

*** სადგ. ქობულეთიდგან იუწყებიან დეპეშით, რომ 31 ივლისს დილის ხ საათზედ, სადგურიდგან 90

## ფელეტონი

—

### ც ა ს.

ცაო, რად გარდაბურულხარ
ნისლით, ღრუბლებით შავადა?
ვარსკვლავნი ხომ არ მოგიკვდნენ,
მთვარე ხომ არ გყავს ავადა?
ანუ მზე ხომ არ შემოგწყრა,
დასცურავს სულ სხვა ჰავადა?
ცისკარი ხომ არ გაგექცა
სხვა სივრცის სანახავადა?
სთქვი, ცაო, რასთვის გაბრაზდი,
რაზედ ხარ გააფთრებული?
რასთვის ჰღრიალებ, მეხს ისვრი,
ცრემლი გჩქეფს აზღვავებული?
ან რასთვის ჰღელავ, ცეცხლს აფრქვევ,
ვით ჯოჯოხეთი გზნებული?
რად გადმოჰკივი მიწასა,
ვით ვეფხვი გაბრაზებული?
ცაო, შეხედე: მთა-ველნი
შიშითა იმეხებიან,
სულდგმულნი ძრწიან, კლდე და კლდე
ერთმანერთს ეჯახებიან,
ძაძით მოსილან ხევ-ხუვნი,
ქვითინით იცრემლებიან,
ზღვა ოკეანნი თან დრტვინვენ
და თანაც გევედრებიან:
„დაწყნარდი ცაო, დამშვიდდი,
გარდაიცალე ღრუბელი,
გარდაიქედე გულ-მკერდი,
ბუნების შემამკობელი,
გარდმოელიმე მიწასა,
ვით ღვთისა მახარობელი,
გახალისდება ძირს მიწა,
ფერი ეცვლება მდელოსა,
კვლავ ჰნახავ მორთულს, მოკაზმულს
დიდებულს საქართველოსა;
შეფოლადდება ქართველი,
იქმს საქმეს სასახელოსა,—
მუდმივსა ლომსა უძლურად
ვერვინ ვერ მოახელოსა!..“
ცაო, არ ისმენ ვედრებას?
კვლავ ისვრი მეხსა-მეხზედა?
იქნება გინდა—შევშინდე,
ლაჩარი ვიქმნე მტერზედა?
დამაგმობინო სამშობლო,
უტკბესი დედის რძეზედა?
აჰ, ვერა, ცაო! ფუჭია:
ვერ მოაგვარებ მაგასა!
მოვკვდე—ის მიჯობს, იმას, რომ
პირშავად შევხვდე საფლავსა...
ვერ დამიკარგავ ხსნის იმედს,
სულის და გულის ძალასა—
შენ თუნდა დადნე, დაიმსხვრე—
სამშობლოს მივსცემ სალამსა!..

გრ. აბაშიძე.

### პირველი ღამე.

(მოთხრობა კატულ-მენდესისა).

ჩემის ოთახის ფარდებზედ განთიადის მკრთალმა სხივმა შეითამაშა. მეღვიძა; რაღაცა სიამოვნებით ვადევნებდი თვალს სხივების ნაზს გამოკრთომას. ამ დროს ძლიერად გაისმა ოთახის ზარის წკარუნი და ოთახში ერთი ჩემი მეგობარი შემოვიდა. ეს იყო სილვან ბრიუნელი. რამ მოიყვანა ასე ადრიან,—ვიფიქრე; სილვანმა ხომ გუშინ დაიწერა ჯვარი იმ ქალზედ, რომელიც ისე გაგიჟებით უყვარდა.

მაგრამ რა საჭიროა, ძლიერ დამაფიქრა და თითქმის შემაშინა კიდეც სილვანის ისე ადრე მოსვლამ. მკვდრის ფერი ედო, თვალებს გიჟსავით აფეთებდა, ტუჩები უთრთოდა; მოვიდა ჩემთან, მხარზედ ხელი დამადო და აცახცახებულისა და შეშინებულის ხმით მკითხა:

— სასწაულთ-მოქმედებანი გწამს? გწამს, რომ ადამიანი-სიკვდილის შემდეგაც სცხოვრებს, უყვარს, იტანჯება და სძულს, ისე როგორც ჩვენ;-- რომ მკვდრებს ადვილად შეუძლიანთ გვდევნონ, სალამს გვაძლევდნენ, ჩვენთან ერთად სხდებოდნენ სუფრაზედ და თვით ლოგინშიაც-კი წვებოდნენ? მაგრამ თუ ეს ასე არ არის, —მაშინ გიჟი ვყოფილვარ,—უთხარ, დამატუსაღონ!

გაკვირვებული შევყურებდი ჩემის მეგობრის ამღვრეულს სახეს. სილვანი იქვე ახლოს სავარძელზედ დაეშო? პატარა ხანს უკან ისევ ისე აღელვებით დაიწყო.

— ყური დამიგდე. ხომ კარგად იცი, როგორ გაგიჟებით მიყვარს ჩემი ცოლი, ჩემი ჟულბრეტა. ვერ წარმოიდგენ, როგორ მოუთმენლად ველოდი იმ ნეტარს წამს, როდესაც ორნი, მარტოდ-მარტო დავრჩებოდით. ეს წამიც დადგა... მღელვარებისაგან გაბრუებული ვიდექი საწოლ ოთახის კარებთან და ის ის იყო შესვლას ვაპირებდი,—გასაღებს ხელი მოვკიდე... რომ უცბად ტანში ცივმა ჟრუანტელმა დამირბინა. რა მემართებოდა?.. ჯერ ვერ მივხვდი. საზარელმა შიშმა შემიპყრა... მთლად ვკანკალებდი. მერე, რისთვის? უცბად ლორენცა მორტლესი გამახსენდა—მიცვალებული, რომელსაც ისე ძლიერ ვუყვარდი.

ჩემ წინ თითქოს ჯოჯოხეთი გაიხსნა. წარმომიდგა საზარელი წარსული: საბრალო ლორენცა მიმკრთალებული, ფერ-მიხდილი იწვა ლოგინში, სულს ლევდა. სიცოცხლე მხოლოდ თვალებში-ღა ეხატებოდა. სიყვარულითა და შურით გამომეტყველი მისი თვალები საყვედურით მომშტერებოდნენ და ერ-

ვერსზედ გვირაბის დალმართიდგან ქვა გადმოვარდა, დაეცა თავში ქუთაისის გუბერნიის გლეხს ივანე ბიჭიას ძე ნიკურაძეს, რკინის გზის დარაჯს და მძიმედ დაშავაო.

### ვ. აბაშიძის წერილის გამო.

ამ რამდენიმე დღის წინად „ივერიაში“ დაისტამბა ბ-ნი ვ. აბაშიძის საპასუხო წერილი, რომელიც ყოველივე ჭეშმარიტებას მოკლებულია.

ბ-ნი აბაშიძე თავისს წერილის დასაწყისში ჯერ ხოტბასასხამს ქუთაისის დრამატიულ დასის ამხანაგობას და შემდეგ განაგრძობს: „აი ამ არტისტების დახმარებით და არა „ბიჭბუჭების“ მონაწილეობით ოთხი წარმოდგენა გვქონდა გამართული ქუთაისშიო, სადაც საზოგადოება ბლომად გვესწრებოდა, ტაშსაც გვიკრავდნენ, გვირგვინებით გვაჯილდოებდნენ და წარმოდგენის მხრითაც დიდად ნასიამოვნები რჩებოდნენ“.

დიდად გვაოცებს ბ-ნი ვ. აბაშიძის მიერ ქუთაისის სცენის მოყვარეთა ქებით მოხსენება, იმ მოყვარეთა, რომელნიც თითონ უარ-ჰყო, სცენიდგან გამოჰყარა, და მათ მაგიერ სცენაზედ მოთამაშეებათ ვიღაც ქუჩის მასხარაები გამოიყვანა, რომელთა უხეირო თამაშის წყალობით მაყურებელთ ზიზღი მოდიოდათ ქართული წარმოდგენისა, და ბოლოს გულიც-კი აიცრუეს თეატრში სიარულისა. ამის დასასაბუთებლად საკმაოა გაიხსენოს ბატონმა ვ. აბაშიძემ მეორე და უკანასკნელი წარმოდგენა, რომელზედაც მარტო სამ-კაც ნახევარი დაესწრო.

თამამად შეგვიძლია ეხლა გითხრათ, რა შუაშია აქ ბ-ნი ვ. აბაშიძის მიერ ჩამოთვლილი ქუთაისის სცენის მოყვარენი? ნუ-თუ იმათ მონაწილეობას იმით ხსნის ბ-ნი ვ. აბაშიძე, რომ ყველა ისინი მაყურებელთა შორის ისხდნენ და როგორც დანარჩენი საზოგადოება ისე უგდებდნენ ყურს წარმოდგენას?!

„ვეფხის ტყაოსნის“ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებაზედ ბ-ნი ვ. აბაშიძე უარს აცხადებს და ამბობს: „მე „ვეფხის ტყაოსნის“ წარმოდგენაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და არც წარმოდგენას დავსწრებივარო“. ერიჰა! კაცმა თავისი თავი საზოგადოების წინაშე აფიშებში შავი მსხვილი ასოებით რეჟისორათ გამოაცხადა და ეხლა იმავე საზოგადოების წინაშე გულ-ახდით ლაპარაკობს, რომ წარმოდგენაში არავითარი მონაწილეობა არ მიმღია და არც წარმოდგენას დავსწრებივარო. მაშ თქვენს თავს აფიშებში რეჟისორათ რად აცხადებდით, თუ წარმოდგენაზედ დასწრებაც არ გსურდათ?!

ივანე გვრიტიშვილი.

### შესანიშნავი ნაშთი.

წინაშე ჩვენსა მდებარებს 1670 წლის გამოცემა—ქართული გრამატიკა, შედგენილი მაჯჯიოს-მიერ და დაბეჭდილი რომს მეორედ [1]) (პირველი გამოცემა ამავე თხზულებისა რომშივე დაიბეჭდა 1643 წ.). წიგნს, რომელიც არის მთელი ფურცლის ზომისა და შეიცავს 276 გვერდს, ჰქვიან:

Syntagmata lingvarum orientalium quae in Georgiae regionibus audiuntur authore D. Francisco-Maria Maggio, clerico regulari, panormitano.—Liber primus. Complectens Georgianae, seu Ibericae vulgaris linguae institutiones grammaticas. Romae, ex typographia Sacrae Congregationis de Propaganda Fide. MDCLXX. (წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს ქართულს ანუ ივერიულს მდაბიო ენის სასწავლო გრამატიკას. რომი. ტიპოგრაფია „სარწმუნოების გამავრცელებელთა სამღვთო კრებისა“. 1670 წ.).

მეორე ნაწილს თავისს შრომისას, ანუ როგორც ავტორი უწოდებს «მეორე წიგნს», სათაურად აქვს:

Syntagmaton linguarum orientalium quae in Georgiae regionibus audiuntur Liber secundus complectens Arabum et turcarum orthographiam ac turcicae linguae institutiones· (წიგნი მეორე, რომელიც შეიცავს არაბულსა და თურქულ ორთოგრაფიას და თურქულ ენის სახელმძღვანელოს).

პირველი ნაწილი წინასიტყვაობითურთ შეიცავს 172 გვერდს, ხოლო მეორე 104.

წინასიტყვაობაში ავტორი პაპს ურბანს აუწყებს, რვა წელიწადია, რაც ვმოგზაურობდი საქართველოსა და კოლხიდაში (რომელსაც აგრეთვე სამეგრელო ჰქვიანო) და აწ, დაბრუნდი-რა რომს, მოვისწრაფი დავემხო წინაშე ფერხთა უწმინდესობისა თქვენისა. სულ დავყავი მგზავრობაში 22 წელიწადიო. მოვიარეო ასურეთი, სომხეთი, სპარსეთი და არაბეთი. ხოლო საქართველოში რომ შევედი, ვსცადე შემეკრიბა ადგილობრივი წიგნები (codices) და სხვათა შორის, მათ შემწეობით შემედგინა ქართულის ენის გრამატიკაო და სხ.

უწინარეს ყოვლისა ავტორი გააცნობს მკითხველებს ქართულს ანბანს: მხედრულ ბეჭდურს, მხედრულ ხელნაწერს, ხუცურ ასო-მთავრულსა და ნუსხურს. აქვე მოჰყავს სახელები ქართულ ასოებისა ქართულისავე ანბანითა და ლათინურით, მაგ. ა a, ან an, ბ b, ბან ban და სხ. კორექტურულ შეცდომის გამო მხედრულ ანბანში ჲ ს მაგიერ სწერია ი i, ინ in, ხოლო ხუცურში-კი ასეთი შეცდომა არ არის და სწერია ჵ huie. ქართულის ენის განსაკუთრებული ხმები ასე დანიშნულია ლათინურად: თ th, თან than, ჟ sg, ჟან sgian, ფ ph, ფარ phar, ქ k, ქან kan, ღ ghh, ღან ghhan, ყ cq, ყარ cqar, შ sc, შინ cin, ც zz, ცან zzan, ძ z, ძილ zil, წ tz, წილ tzil, ჭ cc, ჭარ cciar, ხ chh, ხან chhan, კ hh, კარ hhar, ჯ g, ჯან gian, ჰ hh, ჰაე hhae, ჶ hh, ჶოე hhoe. ხოლო ჩ-ც ჱ-ს მზგავსად აღნიშნულია და გამოთქმულია ასოთი h, (ჱე, he). სულ 37 ასოა. ასოები დაყოფილია ხმოვნებად (ა, ე, ი, ო, უ) და თანხმოვანად. ამათგან ნაჩვენებია: სრულ თანხმოვანად სამი (რ, ჰ, ჶ,) სხვა-და-სხვა ჯგუფისა: კ, ჭ, ყ; გ, შ, ჩ, ც, ჟ, ჭ, ჯ; ზ, ს, ძ, წ; დ, თ, ტ; ლ, ნ, რ; ბ, მ, პ, ფ; ვ, ი; რთულნი: აუ, ოე, უა, უე, უი და სხ. შემდეგ ოროლს ხაზში მოქცეულია ნიმუში ქართულ მსხვილ ასოების წერისა ანბანის რიგზედ, ხოლო აქვე ნიმუშებია ხელ-ჩართულის წერისაც. ყველა ამით თავდება caput tertium (თავი მესამე) და იწყება caput quartum (თავი მეოთხე). აქ ავტორი გაგვაცნობს, თუ რომელი ასო რამდენს ნიშნავს (ქართული რიცხვის ანგარიში). ა ერთი erthi I, ბ ორი ori II, გ სამი sami III და სხ. ასე ბოლომდის: ჲ ათიათასი athiathasi X; რთულ სიტყვებში ახსნილია მათი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობაც, მაგ. ათასი decem centum (melle), ათიათასი deciaes dena centena, hoc est decem millia· აქვე ნაჩვენებია აგრეთვე ყველა ქართულის ასოებითა და არაბული ციფრებით. მეხუთე თავში შედგენილია მარცვლები: ა, ამ, არ, აქ... და... ეა, ებ, ედ... უა, ულ.. ლა, ლო, ლუ და სხ.

მეექვსე თავში ქართულისა და ლათინურის ანბანის შემწეობით განმარტებული არის ანბანები სომხური და არაბული. ამ თავის დასასრულს ჩართულია განსაკუთრებული ტაბულა ქართულ ანბანისა და მოყვანილია ყველანაირი წერის ნიმუში ყოველის ასოსი.

იწყება ეტიმოლოგია. ქართულს ენას ერთი სქესი აქვსო genus apud ibesos unicum est), მაგ. ლამაზი ნიშნავს: pulcher, pulchra, puilchrum. ლამაზი კაცი pulcher homo, ლამაზი ქალი pulchra foemina ლამაზი პირუტყვი pulchrum animal და სხ.

ამნაირად ავტორი გაჰყვება და წარმოგვიდგენს მთელს ეტიმოლოგის და მერე სინტაქსისაც ქართულის ენისა. ხოლო ვიდრე მოვიყვანდეთ ზოგიერთ მაგალითებს ამ უკანასკნელ შრომიდგან, აქვე საჭიროა წინდაწინვე შევნიშნოთ, რომ ავტორი მრავალს ქართულს სიტყვებსა და ფორმებს უმართლოდ სწერს.

მაგ. იგი ამბობს, ქართულში ორი რიცხვიაო: მხოლოობითი და მრავლობითი, ვითარცა: მამა (pater)—მამბბი (patres), დედა (mater)—დედაბი (matres); ბიჩი (ბიჭი?)—ბიჩები (pueri), სოლი (ცოლი?)—სოლები (uxores).

კანკლედობა ერთიაო, ხოლო ბრუნვა ექვსი.

(ჩვენი გრამატიკოსებისაგან მოთხრობით ბრუნვად აღიარებულ ფორმას მაჯჯიო სამართლიანად სთვლის სახელობით ბრუნვად) მაგ.

| | | |
|---|---|---|
| სახელობითი, | ბიჩი, ბიჩიმა | ბიჩები |
| ნათესაობითი | ბიჩისა | ბიჩებისა |
| მიცემითი | ბიჩსა | ბიჩებსა |
| შემასმენლობითი | ბიჩი | ბიჩები |
| წოდებითი | ბიჩო | ბიჩებო |
| შემოქმედებითი | ბიჩისაგან | ბიჩებისაგან |

ამგვარადვე: ხბო, ხბოსა (?), ხბოსა, ხბოი, ხბოო, ხბოსაგან; შვილი, შვილისა, შვილს, შვილო, შვილისაგან, შვილები, შვილებისა, შვილებსა, შვილებს, შვილებო, შვილებისაგან, და სხ.

საკუთარ სახელებში დაბოლოება „ტი“ მიცემით ბრუნვაში ც—დ იცვლებაო, მაგ. გრიგოლეტი (გრიგოლეთი?)—გრიგოლეც, აკეტი (აკეთი?)—აკეც, ოზუგეტი (?)—ოზუგეც, ნანჯიკუტი (ლანჩხუტი)—ლანჯიკუც, კუბულეტი (ქობულეთი)—კუბულეც.

მოქმედებით ბრუნვას მიაწერს აგრეთვე ფორმებს: საყდარში, საყდარიდა (საყდარითა?), საყდარიდამა (და არა დანა, როგორც ეხლა ხმარობენ ზოგიერთნი!), სოფელჩი (სოფელში), სოფლიდა (სოფლითა), სოფლიდამა, ოდიშიდამა, ბაძარიდამ (ბაზრიდამ). ხელთა (in manu).

ავტორს შეუმჩნევია აგრეთვე მრავლობითი რიცხვის წარმოება ნ და თ-ს შემწეობით: მეფენი, მეფეთა, მეფენი, მეფენო, მეფეთაგან.

სიტყვათა წარმოება: ბალანი—ბალანიანი, შვილი—შვილიანი, მარილიანი, ხერკიანი, ჩალიანი, და სხ.; ხუამალდი მეხუამალდი (მეხომალდე?) მეთებიი (მეთევზე), მეღუინო—მეჯინიბე, მეძალლე; მაღრი (მაღლი?)—მაღრიელი, გემრიელი, გურიელი, აკეთელი, გორიელი; ოდიში—ოდიშური, გურიელური, კიზილბაშური; ღმერთი—ღმერთობა, კაცობა, ეშმაკობა, მოციქულობა; ბეჩედი (ბეჭედი)—საბეჩდი, წიგნი—საწიგნი, სამარილი (საჭარილე?); ქართუელი—საქართუელი—ქართველობა, ფრანკი საფრანკი—ფრანკობა; კრისთე—კრისტიანი, მაკამმედი — მაკამმედიანი, ლუთერი—ლუთერიანი; ივანე—ივანობა, გიორგი—გიორგობა, ელი—ელიობა, ნინო—ნინოობა (აქვე შენიშნულია, რომ ნინომ ქართველნი მოაქცია კონსტანტინე კეისრის დროსაო); ელი: შემოქმედელი, ალლავერდელი, თბილელი და სხ.; ბერი—იბერი, წმინდა—იწმინდა, მორჭმული—იმორჭმული; თეთრობა, შავობა, მოკლეობა, დედობა; ბული: შორებული, შენებური, ჩვენებური;

დაჰკრა. ოჰ, რა მიუწთომელი რამ არის რომ იცოდეთ ეს წამი, როდესაც ქალწულებრივი მორცხვობა ცოლ-ქმრობის კავშირით სამუდამოდ ჰქრება.

გრილ ნიავივით მოკრძალებით ვეხვეოდი ჟულბრეტას ყელზედ... ნეტარებით ვეწაფებოდი მისს ნორჩს ტუჩებს.. ვერ გამიგია, საიდგან, იქვე ახლო ვიღაცის კოცნის ხმა გაისმა,—ისეთივე ნაზი, თითქოს ჩვენს კოცნას ბანი მისცაო. გაოცებული ჩავაკვირდი თვალებში ჟულბრეტას; იგი ბავშვურის ნეტარებით იღიმებოდა. თუ ვერ გაიგონა. „განმშორდი, უაზრო მოჩვენებავ! მართლა ჭკუიდგან ვიშლები“! —ვიფიქრე მე, და უფრო მაგრად მივიკარ გულში ჟულბრეტა. პერანგმა ჩუმი შრიალი გაიღო,—მე ვიგრძენ ჟულბრეტას ტანის სითბო მისი ამო სუნნელოვნება. მაგრამ უცბად ჩემს ახლო ისეთივე შრიალი გაისმა. კვალად შევხედე ჟულბრეტსა; ის ისევ წინანდელსავით ბედნიერად იღიმებოდა. სჩანს არა შეუტყვია-რა. გულზედ გადაშლილ ირშიებს შუა თოვლივით თეთრი გულ-მკერდი მოჩანდა; აზვირთებული ოცნება კიდევ სულ სხვა-და-სხვა მოჩვენებას მისახავდა თვალ-წინ. მე ვერ წარმომედგინა, რომ საღის გონების პატრონს კაცს ასე დაიმორჩილებდა რაღაც უაზრო მოჩვენება? საშინლად ვბრაზდებოდი და მღელვარებამ ამიტანა. ჟულბრეტამაც შემატყო ეს მღელვარება და გაკვირვებული მიმზერდა. მე კვალად მაგრად ჩავიკარ გულში იგი და რაღაც სიყვარულის სიტყვებს ვეჩურჩულებოდი უთავბოლოდ.

ოოჰ, საშინელებავ, საშინელებავ! გესმის, ვამბობდი ამას და იქვე-კი, გვერდით ვიღაცის ხმა ამავე სიტყვებს იმეორებდა. ყველა ეს მესმოდა მე,—მარტო მე. ჩვენი კოცნა, ალერსი, ნეტარება—ქურდულად იქვე ვიღასგანაც იმეორებოდა.

ვსცდილობდი, როგორმე სანეტარო სიყვარულში შთამენთქა შიში, მაგრამ ამაოდ; კანკალი მიტანდა... საზარელს შიშს ძლიერად შევეპყარ და გული მეყინებოდა. ჟულბრეტას გვერდით ერთს წამს ვიღაც მკვდარი ქალის აჩრდილიც-კი შევნიშნე, სულმთლად გაყინული, მიმკრთალებული; აჩრდილი მკვდარი ლორენცასი იყო, ისეთივე, როგორიც უკანასკნელად ვნახე კუბოში.

— ოჰ! რა საზარლობა იყო, რომ იცოდე!.. ის-ის იყო დადგა წამი უმაღლესის თავ-დავიწყებისა და ორივემ ტკბილად ამოვიოხრეთ, რომ იგივ ამოოხვრა გაისმა ჩემს ყურთან და რაღაცა საიდუმლოებით შესწყდა ჰაერში. აქ-კი შიშმა მძლია: შეშლილივით წამოვვარდი ლოგინიდგან, (კივს ოფლს მასხამდა; საჩქაროდ ჩავიცვი ტანისამოსი და შინკენ გამოვექანე. ხომ შეშლილი ვარ?—ჩამეკითხა ჩემი მეგობარი.—ჰო, ჰო, შეშლილი!..

ძლივს, რის წვალებით, დავაშოშმინე და დავარწმუნე ჩემი მეგობარი, რომ ის გიჟი არ იყო,—რომ ყველა ის, რაც ენახა, მხოლოდ ცელქი ხსოვნა იყო—მოგონება—მკვდარ ლორენცას საყვედური, მისივე ოცნებით შექმნილი, სინიდისის ქენჯნა, თუ რად ივიწყებს და თითქოს ჰღალატობს კიდეც მშვენიერს ლორენცას, რომელიც წინად უყვარდა.

ჩემგან დამშვიდებული წავიდა სრულიად ჩემი მეგობარი და იქნება ყურადღებაც აღარ მიმექცია ამ გარემოებისათვის, რომ მეორე დღეს არ აღმომეკითხნა გაზეთში:

ამ რამდენიმე დღის წინად ახლად დასაფლავებულ ქალის ლორენცა დე მორტლესის საფლავზედ, მა—ზას სასაფლაოზედ, შემდეგი საზარელი ამბავი მოხდა: ვიღაც ყმაწვილს საფლავის თხრაზედ მოასწრეს; დამნაშავე სამართალს მისცეს, მაგრამ გამართლდა, რადგანაც ექიმებმა გიჟად იცნეს. სასჯელის შემცირების დროს, სხვათა შორის, მხედველობაში მიიღეს დამნაშავის უთავბოლო ლაპარაკი, რომელიც ამბობდა გულახდით: იმიტომ ჩავიდინე ეს საზარელი დანაშაული, რომ სასაფლაოსთან გავლის დროს მუდამ ჟამს ქალის ნაზი ხმა მეძახოდა და მოსვენებას არ მაძლევდაო.

ინ-ანი.

---

[1]) ეს წიგნი გამოვიტანეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავიდგან (იხ. № 783).

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს—დღევანდელი, დილას—დილამდელი, გუშინდელი;

თვეები: იანვარ, თებრუარ, მართი აპრილი, მაისი, იანობისთუე, ყირიკობისტუე, მოშობისტუე, ეუკენისტო, წიფობისტო, ჯირჯობისტო, კრიშობისტო.

რიცხვით სახელებშიაც არ შეგვხდება ჩვეულებრივი ათერთმეტი, ათორმეტი, და სხ. არამედ თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი, ხუთმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი და სხ. წარმოებაა: მეორი, მესამი, მეოთხი და სხ; ორივე, სამივე, ათივე და სხ. სამსამი, ოთხოთხი, შვიდშვიდი, ასასი და სხ. ერთობა, ორობა, საmობა, ასობა და სხ.;

ზედშესრულთა ხარისხი: ლამასი (ლამაზი)—მზესაგან ლამასი, კაი, უარესი. უკეთესი, უმცროსი, უფროსი. მაჯჯიოს სიტყვით სილამასი, სიპილწი, სიავი და სხ. არის ულამაზესი, უპილწესი, უავესი; თუმცალა იქვე ამ ფორმებსაც აღნიშნავს: სულა ლამაზი, სულა წმიდა, უფრო ნათელი

ნაცვალსახელი: მე me; შენ tu; ეს ამან, აგი hic, hec, hoc; ის, იმან, იგი ille, illa, illud; თვითან ipse; რომელი, რომ qui; ჩემი, შენი... ჩვენებური, თქვენებური... ვინ quis რა qui; სადაური cuias და სხ. ბრუნვა: მე, ჩემის, ჩემსა, მე, ჩემგან და სხ. (დაბრუნვებულია შენ, ამან, იმათი, თვითონ, რომელი, ვინ, რა, სხვა, ჩვენებური, სადაური).

ზმნა: მოვალ, მოხვალ, მოვა, მოვალთ, მოვლიანი (?) მოვიდოდი მოხვიდოდი,.. მოვიდოდენ; მოველ მოხველ,..; მოსული ვარ, მოსული ხარ..., მოსული ვიყავი, მოსული იყავი... (ამას plusquam perfectum-ს უწოდებს). მოვალ, მოხვალ... მოდი, მოვიდეს... საწადისი დახრა: ნეტანს (ნეტავი) მოვიდოდი, მოხვიდოდი და სხ. ბოლომდის; უპირობო მოსულა; გერუნდი: მოის veniendi, მოსულაში veniendo, მოსულა veniendum. დაუღვლილებულია აგრეთვე წავალ, ჩავალ, მოვიტან, დავიბან მოვდგები და სხ. მიმღეობა: გამსვლელია, მიმსვლელია, ჩამსვლელი, ჩასული, ჩამოსული; გატეხილი, „გაკეთებული მოხარშული, აგებული, დაკარგული და სხ,

Aduerborum (ზმნის ზედა): რატომა, აბარა, აბა, შვიდობით, ეგერა, ეგების, დია, ოჰ შენმა მზემ, თავი ნუ მომიკვდება, ოჰ ღმერთი მიშველის, ჯერ არა, მისდგეჩი, ერჯელ, ორჯელ, წინათ, მესამეზე, მეხუთეზე, უკან, იმას უკან, ნელა-ნელა, ზეგ-დილას, ჭკუით, გულით, გვიან და სხ.

განკვირვებითი და წოდებითი: ჰე! ჰოდაო! არჩემდა! მაშ! აბა! შენიჭირიმე! ბული-ბული-ბული! წიწიწი! ნიაუ! წეის-წეის-წეის! წნგეი-წნგეი-წნგეი! ვაი-ვაი! ხა-ხა-ხა! სუ! სულე! ბეჰ! ვეჰ!

კავშირი: მაგრამ, ამისთუი, ან, თუ, მარა.

დასასრულ აღნიშნულია ფრაზები და სხვა-და-სხვა სიტყვები. ბატონს მისცა, შენგან მეშინია, ჩემგან გიკუირს, შენ ხელი არ გაბია, იმას უკან ნუ დამაბარებ, გორიდამ მოვალ, ალევს წასულა, მე კი შენი გაზდილი ვარ; ხელმანდელი, ნიორი, გუთანი, მარანი და სხ.

ეს გრამატიკა თავდება ლოცვებით: სახელითა მამისათა..., წმიდაო ღმერთო (წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგვიწყალე ჩუენსა); მამაო ჩუენო, ღვთისმშობელო ქალწულო (ღთის: მშობელო: ქალცულო: გიხაროდენ: მიმადლებულო: მარია: უფალი: ...შრის (შორის)... ნაკოფი... რამეტუ მაც კოვარი); მრცამს (მრწამს)... მამა კოვლისა მკრობელი შემოკმეთი... და არს ხილულთა; და ერთი ...იესო კრისტე ზე ღმრთისა მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უპირველეს საუკუნეთა... ღმერთი ალითინი ღვთისაგან ალითინისა [2]) ...შეიკმანა... გარდამოკდა ზეცით... კორცნი... ცმიდისა... ქალცულისა..; ცხოველთა და მკუდალთა და სოფევისა..; მამაისათანა და ზისათანა (ძისათანა?) თავკანის ცემების... რომელი იტკოდა პროფითა [3]) მიერ..; სამოუაიკული (სამოციქულო?) ეკლისა; აღვიარებინ... ნათლის ღიებასა; ათი მცანება: ა) არა იკოს შენდა.., ბ) არა კო კერპი თაკუანის ცემად მისა; გ) მოიხსენე დგე იგი სავატინ ცმინდა; დ) პატივეც მამასა და დედასა შენსა; ე) ნუ კაც კლავ; ვ) ნუ იამრუშებ; ზ) ნუ იპარავ; ჱ) ნუ ცილის სცამებ ცრუვ მოცამეობითა; თ) ნუ გული გითქუამს ცოლსა მოკუსისა შენისასა. ი) ნუ გულსა ეტყვი მითაცება ანგარებისა.

Septem ecclesiae sacramenta (შვიდი საეკკლესიო საიდუმლო) თარგმნილია ასრე: „ათიმ ცენება“:

ლიტანია ღვთის მშობლისა. ჩამოლოცვილია: კირიე ელეისონ. ქრისტე ისმინე ჩუენი. ქრისტე შეისმინე ჩუენი... ცმიდაო ქალცულო მიოხ..-დედოფალო ტონ ანგელოს მიოხ. დედოვალო ტონ პატრიარხონ მიოხ... დედოფალო ქალცულებათაონ მიოხ და სხ.

სწორეთ ამნაირადვე განხილულია არაბულ-თურქული გრამატიკაც. ხოლო, როგორც წიგნის შინაარსიდგან სჩანს, თურქულ გრამატმკად ავტორი იგულისხმებს ადირბეჟანის თათრულ ენის გრამატიკას და არა ოსმალურს. ხშირად აქაც სიტყვები დამახინჯებულია, ზოგი (უმეტესი ნიწილი) კორექტორიგან და ზოგი თვით ავტორისა ანუ გადამწერისმიერ.

ამ ნაშოს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ენის გრამატიკას ისტორიისათვის. იგი აგრეთვე გვიჩვენებს, თუ როგორის მზრუნველობით ეპყრობოდნენ ლათინთა მისიონერები ქართველებს, ქართულს ენასა და სიტყვას.

უადგილო არ იქნება აქვე დავურთოთ მცირეოდენი ცნობა შესახებ ამ მისიონერებისა. კათოლიკეთა მოძღვრები საქართველოში მოვიდნენ პირველად რუსუდანის დროს (1221—1239 წ.). რუსუდანმა პაპს გრიგორი IX შემწეობა სთხოვა და მან შემწეობის მაგიერ შვიდი ბერი გამოუგზავნა, რათა რუსუდანიცა და მისი ერიც მიექციათ კათალიკობისადმი. რუსუდანმა უარ-ჰყო მათი მოძღვრება. [4]) 1289 წ. პაპ ნიკოლოზ IV-მ ხელახლა გამოგზავნა მღვდლები, როიელნიც ქართველებმა მიიღეს და ნება დართეს ტფილისში ჰყოლოდათ თავისი ეპისკოპოსი. მეფე კონსტანტინე III-მ თვისი ელჩები გაგზავნა რომს წინაშე პაპ ალექსანდრე IV, რომელმაც მეფეს ეპისტოლეთი მოჰმართა. ამნაირ მიწერ-მოწერისა გამო კათოლიკეთა მოძღვრებამ ნელნელა მოიკიდა ფეხი საქართველოში, უფრო მეტად-კი სამცხე-საათაბაგოში. 1604 წლიდგან მათი რიცხვი გამრავლდა. იგინი დაესახლნენ ტფილისსა და გორში, ქუთაისს, სამეგრელოს და გურიას. კათოლიკეთა მოძღვარნი ფრიად განათლებულნი კაცნი იყვნენ, იცოდნენ ექიმობა და სწავლობდნენ ქართულ ენასაც. ამ ენის შესასწავლად რომის „მოქადაგეთა სკოლაში“ პაპმა დააწესა ქართული ენის კათედრა და პროფესორად დანიშნა ქართველივე—ირბახი, რომელიც „მთელს წინა აზიაში განთქმული იყო მეცნიერებითა და სადიპლომატო ენჩობით“. ამ ირბახის შემწეობით პაულინმა შეადგინა და დაბეჭდა 1626 წ. „ქართული ანბანი“, რომელშიაც ჩაურთო 3084 ქართული სიტყვა. ხოლო საქართველოში მყოფ მაჯჯიმ შეადგინა ზემორე აღწერილი ქართული გრამატიკა. ეს მაჯჯი თავისს წიგნში აღნიშნავს სახელებს საქართველოში მყოფ მოძღვრებისას. ამ დაუღალავ მღვდლებმა მთელი ევროპის ყურადღება მოაპყრეს საქართველოს, ამ ერთად-ერთს საქრისტიანო სახელმწიფოს აზიისას, მომწყვდეულს საშუალ აღბორგებულ მაჰმადიანობისა. ადრე თუ გვიან საქართველოს ეშველებოდა კიდეც, თუ დაეცადა ცბიერ შაჰაბაზს, რომელსაც ქართველთა თავისუფლება ძილს უფრთხობდა და მოსვენებას არ აძლევდა [5]).

მ. ჯანაშვილი.

---

[2]) ბერძნული ალითოს უდრის ქართულს ჭეშმარიტს.

[3]) პროფიტოს ბერძნულად წინასწარმეტყველი.

[4]) იხ. „Грузинская церковь какъ свидѣтельница православія русской церкви“, Θ.—Цагарели.

[5]) დაწვრილებით იხ. „საქართველოს ისტორიაში“ გვ. 284—285 და აგრეთვე პროფ. ცაგარლის წიგნში „О граммат. литературѣ Грузинск. языка. გვ. 47—55, 109—110.

## რუსეთის ცხოვრება.

—

უმაღლესად ნება დართულია შემოდგომაზე 1896 წელს მოწვეულ იქმნას პეტერბურგში კრება, რომელმაც უნდა შეიმუშავოს და განიხილოს სხვა-და-სხვა რადიკალური საშუალება სიფილისთან საბრძოლველად.

—

სარედაქციო კომისიის მიერ შემუშავებული ახალის სისხლის სამართლის დებულების პროექტი ამ ჟამად ჯეროვანს უწყებას გადაეცა განსახილველად, რომ პროექტის შესახებ მათი აზრი წარდგენილ იქმნას ამ მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის. შემდეგ პროექტი სასჯულო საქმეთა მინისტრისა, კომისიის თავმჯდომარისა და სარედაქციო კომისიის წევრების მონაწილეობით ხელახლად იქნება განხილული უწყებებისაგან წარმოდგენილ აზრთან ერთად და სახელმწიფო საბჭოს წარედგინება განსახილველად.

—

ამ ჟამად სამეურნეო და სახელწიფო ქონებათა სამინისტრო შესდგომია იმის შემუშავებას, თუ სამეურნეო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულებისათვის როგორ მოაწყოს უკეთ სავალდებულო პრაქტიკა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

გერმანიის იმპერატორის ინგლისში ჩასვლამ იქაურს გაზეთებს მიზეზი მისცა ლაპარაკისა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა გერმანია და დიდი ბრიტანია დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ყველაზედ საყურადღებოა ამ მხრივ წერილი დაბეჭდილი „სტანდარდ“-ში, რომელიც ინგლისის დღევანდელ პირველ მინისტრის ორგანოთ ითვლება. «სტანდარდ»-ი შენიშნავს:

როგორც დედოფალ ვიქტორიას შვილის შვილმა ვილჰელმმა ჩვენში სიმპატია დაიმსახურა, ხოლო როგორც მონარხი იგი ჩვენგან დაფასდება იმისდა მიხედვით, როგორი განწყობილებაც მასა აქვს დიდ-ბრიტანიასთან. ჩვენ არ ვუჩივით, მაგრამ ვიტყვით-კი, რომ გერმანიასა და ინგლისს შორის ისეთი დამოკიდებულება აღარ არსებობს, როგორიც წინად იყო.

ამაში მარტო ინგლისის მთავრობა არ არის დამნაშავე, არამედ თვით იმპერატორი ვილჰელმიც დამნაშავეა. გერმანიასა და ინგლისს რომ კავშირი ჰქონდეთ ერთმანეთში, აქ საკვირველი არა უნდა იყოს-რა არავისთვის, რადგანაც მათი ინტერესები ერთმანეთისაგან არაფრით განირჩევიან. მაგრამ სამწუხაროდ გერმანიის იმპერატორმა მრავალჯერ მოახდინა საპოლიტიკო ექსპერიმენტი. ჩვენ თვალხილულადა გვსურს გერმანიასთან თამაში, თუ რომ ჩვენთან თვალთმაქცობა ვისმე ჰსურს, მაშინ ჩვენ მოთმენაც ვიცით. ინგლისის სახელმწიფოს გავლენიანნი პირნი დიდად აღტაცებულნი არიან თავადის ბისმარკის მოქმედებით, მაგრამ მიბაძვითკი არასოდეს არ მიუბაძნიათ და არც მიჰბაძავენო.

უფრო მეტს უსაყვედურებს „სტანდარდ“-ი გერმანიას შორეულს აღმოსავლეთში რუსეთსა და საფრანგეთთან ერთად მოქმედებისათვის. ამბობს რა „სტანდარდ“-ი, რომ ეს არავითარს სარგებლობას არ მოუტანს გერმანიასაო, შემდეგის სიტყვებით ათავებს თავის წერილს:

«ის ინგლისის თანაგრძნობა, რომლითაც დღემდის გერმანია სარგებლობდა, ამ უკანასკნელისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსეთთანა და საფრანგეთთან საპირფერო ალერსი. რასაკვირველია, გერმანია გონივრულად მოიქცევა, თუ იგი ჩვენსავით ორივე სახელმწიფოსთან დაიცავს მეგობრულს დამოკიდებულებას. მაგრამ თუ გერმანიის იმპერატორი ოცნებობს, რომ ამ მეგობრულ დამოკიდებულებიდამ რაიმე სარგებლობა გამოვა, ძალიან სცდება. საფრანგეთი სედანს არც აპატიებს და არც რუსეთი დაივიწყებს ბერლინის კონგრესს, ხოლო ინგლისს არაფერი აქვს, არც დასავიწყარი, არც საპატიები და არც-თუ შესაცვლელი. აი ამიტომ ევროპისა, აღმოსავლეთ-აზიისა და საახალშენო დიდსა თუ პატარა საგნებში ინგლისი და გერმანია ურთიერთთ შორის მეგობრულად უნდა მოქმედებდნენ. ჩვენის ნათქვამიდგან მაინც იმისი დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება, რომ ინგლისსა და გერმანიას შორის კარგი დამოკიდებულება არ არსებობდეს, მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ ეს დამოკიდებულება ბევრად უკეთესი იყოს. და ეხლა-კი, როდესაც ინგლისის მთავრობის სათავეში ლორდი სოლსბერია, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს სურვილი უთუოდ განხორციელდებაო.

—

„მოსკოვ. ვედ.“-ი თითქმის ყოველ დღე ეკამათება იმ რუსულ გაზეთებს, რომელნიც ბულგარიასთან შერიგებაზე ლაპარაკობენ. რის შერიგებაო, რა შერიგებაო! სანამდის ყველა ჩვენს ბრძანებას არ აასრულებენ ბულგარელნი, მანამდის ჩვენის ლაპარაკის ღირსნიც არ არიანო.

ამგვარის მსჯელობის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ „მოსკოვ. ვედომ.“-ს ძლიერ ესიამოვნებოდათ „გრაჟდანინ“-ის წინადადება, რომლით თავ. მეშჩერსკი ურჩევს რუსეთს სრულიად შეიერთოს ბულგარია, მოსპოს თავისუფლება ბულგარიისა და გარდააქციოს იგი გუბერნიათ! მაგრამ კატკოვისეული გაზეთი ამ წინადადებასაც წინააღუდგა.

„უეჭველიაო, ამბობს გაზეთი, რომ თვით ბულგარელებისათვის ძლიერ სასარგებლო იქნებოდა, რომ ბულგარია რუსეთის გუბერნიათ შეიქნებოდეს. მაგრამ ეს იქნებოდა დიდი მოწყალება რუსეთის მხრივ, რომელიც ჯერ საჭიროა ბულგარიამ დაიმსახუროს. რუსეთთან შეერთება მიანიჭებდა მას: შინაურს ეროვნულს განვითარებას, მოსვენებას შინაურისა და გარეშე მტრებისაგან, განავითარებდა ნივთიერად და საუკეთესო მისს ძალებს ამოქმედებდა უფრო ფართო ასპარეზზედ და არა დღევანდელს ვიწრო კალაპოტში. ასეთი მზრუნველობა რუსეთისა ბულგართა სასარგებლოდ მეტი ტვირთი გახდება რუსეთისათვის. ვიმეორებთ, რომ ასეთი მოწყალება რუსეთის მხრივ ბულგარიას არაფრით არ დაუმსახურებიაო.

გაზეთი არ კმაყოფილდება მით, რომ ბულგარელთ იწვევს დაიმსახურონ რუსეთის მოწყალე მზრუნველობა, იგი სხვა სლავებსაც არ სთვლის ჯერ ღირსად რუსეთის მფარველობისა... საკვირველია, რომ გაზეთს სრულიადაც არა აქვს ეჭვი, რომ სლავებს ეს რუსეთის მოწყალება ენატრებათ. ბევრჯელ გვსმენიაო, ამბობს გაზეთი, ასეთივე სურვილი სლოვაკებისა, სერბიელებისა ხორვატებისა და ჩეხებისაგან. მაგრამ ჯერ არც ესენი არიან ღირსნი ჩვენთან შეერთებისაო და ამაზედ ლაპარაკი მხოლოდ ოცნება და ფუჭი სიტყვებიაო.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ოც-და სამს ივნისს საფრანგეთში ანიშის მადნის დირექტორი ვილმენი შეიქმნა მსხვერპლი ერთის ანარხისტისა.

ამ დღეს ვილმენი თავისს ოც-და-ათის წლის იუბილეს დღესასწაულობდა. ნადიმი ოთხი-ათასი მუშისათვის იყო მომზადებული. როდესაც იგი თავისს მეგობრებით და მადნის მოხელეებით ერთად ეკკლესიიდგან გამოდიოდა, მიუახლოვდა ერთი კაცი ჩაცმული მუშის ტანისამოსში და ხუთჯერ ესროლა რევოლვერი. ვილმენი სისხლით შეღებილი ძირს დაეცა. იქ მყოფნი ერთს წუთს გაშტერდნენ, მერე უცებ მისცვივდნენ მკვლელს, დაუწყეს იარაღის წართმევა, მაგრამ ამ დროს მათ წინ იფეთქა ყუმბარამ. პირველი მსხვერპლი ყუმბარისა თვით მკვლელი შეიქმნა. მისი გვამი ყუმბარამ ჰაერში აიტაცა და ლუკმა-ლუკმად აქცია. დაჭრა ოთხი კაცი, რომელნიც იდგნენ მკვლელის მახლობლად. ზოგი ამბობს, ყუმბარა თითონ მკვლელმა დააგდო ძირსაო, ზოგი-კი—უცაბედად ხელიდგან გაუვარდაო. ვილმენი ოთხ ადგილას არის დაჭრილი. ორი ჭრილობა აქვს ზურგში და ორიც კისერში. თუმცა იგი მოხუცია (74 წ.) მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არის დაუძლურებული. იმედი აქვთ იმის მორჩენისა, ჭრილობანი ისე საშიშნი არ გამოდგნენ, როგორც მოსალოდნელი იყო. ბოროტების ჩამდენი

ანარხისტი დეკუ გამოდგა. იგი მუშა იყო ანიშის მადნებში, საიდგანაც დაითხოვეს 1893 წელს. დეკუ ოცდა-ექვსი წლისაა. თვით ვილმენიც ამავე მადნებში მუშად ყოფილა და ბოლოს უმთავრეს დირექტორის ხარისხამდე მიუღწევია. იგი ყველას უყვარდა, მან პირველმა შემოიღო შემნახველ-გამსესხებელი კასსები საფრანგეთში მუშებისათვის.

—

23 ივლისს ესრულდა არჩევანები ადგილობრივს საბჭოებში. ამორჩეულ იქმნა: 894 რესპუბლიკელი, 181 რადიკალი, 74 შემოერთებული მონარხისტი, 26 სოციალისტი და 263 კონსერვატორი; რესპუბლიკელებმა წაართვეს მონარხისტებს 90 ადგილი. სოციალისტებს, თუმცა ახალი ადგილი არ შეუძენიათ, მაგრამ ძლიერ იმატა მათ ამომრჩეველთა რიცხვმა.

—

**ბულგარია.** გარეშე საქმეთა მინისტრმა ნაჩევიჩმა გამოუცხადა „პეშტერ ლოიდ“-ის კორესპონდენტს, რომ მთავრობა ჰკიცხავს დეპუტაციას პეტერბურგში წასვლისათვის. მთავრობას უკვირს, როგორ დასახა დეპუტაციამ თვისი კერძო აზრი და სურვილი ბულგარიის ერის აზრათა და სურვილათაო; დეპუტაციისათვის არავის მიუნდვია რუსეთთან შერიგების შესახებ მოელაპარაკნაო და სხვა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადოთ შემდეგი: 20 ივლისს სოფ. საგარეჯოში წარმოადგინეს სცენის მოყვარეთ საგარეჯოს წიგნთ-საცავის სასარგებლოდ ორი პიესა: „კაის გაკეყარე, ცუდის შეკეყარე“, კომედია სამ-მოქმედებათ კ. გუხიასი და „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, კომ. ორ-მოქმედებათ რ. ერისთავისა. შემოვიდა სულ 57 მ. და 70 კ. დაიხარჯა 9 მ. 47 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 48 მან. 23 კ. წარმომდგენელთ ქალბატონთ: ნინას, სოფიოს და ელენე ბილანიშვილებს, ბატონთ: ზაქარია ბილანიშვილს, კრუშია გულისაშვილს, ალექსანდრე მჭედლიშვილს, ლევან გულისაშვილს, დავით შალინოვს და დავით გარსიაშვილს, რომელთაც შრომა მიიღეს წარმოდგენის გამართვაში, კომიტეტი საგარეჯოს წიგნთ-საცავისა მადლობას უცხადებს.

გამგენი საგარეჯოს წიგნთ-საცავისა
ა. იაშვილი და ს. ქურდოვანიძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 აგვისტო.

**ვენა.** სანახევროდ ოფიციალური გაზეთი „ფრემდენბლატ“ ამბობს: სოფიაში განსაკუთრებული ყურადღებაა მიპყრობილი, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა იქონიონ ამიერიდან. ახლანდელი მმართველნი ქვეყნისა, თითქოს იმ აზრის იყვნენ, რომ უნდა იხელმძღვანელონ პეტერბურღიდან დაბრუნებულის დეპუტაციის რჩევით.

**ნიუ-იორკი.** გაზეთები იუწყებიან, იაპონიაში სამინისტრო კრიზისი მოხდა, რადგანაც გრაფმა იტომ და იამატაგამ უარი განიცხადეს იმპერატორისაგან უმაღლესს წოდების ხარისხზე, მარკიზობაზედ, თუ რომელნიმე მათი ამხანაგებიც არ იქნებიან დაჯილდოვებულნი.

პეტერბურგის ბირჟა, 1 აგვისტო.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — " | 7,40 |
| 5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — " | — " | 212 3/4 |
| 4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 100 1/4 | — ,, | — ,, |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა . | — " | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | | 99 5/8 | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა.

—

**ქ. ქუთაისს, ს. ა. აბულაძეს.**—ეს მეორე წერილი მოუვიდა რედაქციას თქვენი, რომლითაც გვეკითხებით: „ხომ არავის გადაუთარგმნია „Убійство Каверлей“, რომლის თარგმნაც უკვე დავიწყეო?“ ერთი გვიბრძანეთ, თუ ღმერთი გრწამთ, როგორ და რა საშუალებით უნდა ვიცოდეთ—გადათარგმნა თუ არა სხვამაც, სადმე, როდისმე და რამე? ამისთანა გამოცანას, ისევ გამოჩენილი ჯიხაიშელი მარჩიელი—განსვენებული დათიკია ვაშაკიძე თუ ახსნიდა, თორემ სხვა ვერ გამოიცნობს!



# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ), ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. შ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სარტორკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. მ. კარაპეტიანცი**, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. ბ. ბურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7 1/2 საათამდის.

**ა. ბ. ბურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცე[illegible] აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | " | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | " | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | " | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | " |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | " | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | " | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | " | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | " | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | " | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | " | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . . | " | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . . | " | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | " | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | " | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | " |
| შალვას თავგადასავალი ცამარილისა . . . . . . | " | 15 |
| ხეთაში . . . . . . . | " | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . . | " | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | " | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | " | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | " | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | " | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . . | " | 60 |

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენციისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

**ფასი ერთი მანათი.**

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ხება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

36—1—10

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის სადვილოდ დაზღ ევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სა ი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში

(100—721—,)

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

დამზღვევი საზოგადოება
„როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან.

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთება მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემუუწოდაასადგურებზედ.

50—6—46



Дозволено цензурою, Тифлисъ 2-го Августа 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.